ა ნ გ ა რ ი შ ი

სტუდენტთა მიერ ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესის შეფასების შესახებ (2019-2020 სასწავლო წელი)

ზოგადი მიმოხილვა (არაუმეტეს 500 ასო-ნიშანი)	კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2019-2020 სასწავლო წელს ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და, ზოგადად, სწავლება-სწავლის პროცესის შეფასება/ანალიზი, ხოლო ამოცანას - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის საჭიროებების იდენტიფიკაცია და კონსოლიდირებული ანალიტიკური ანგარიშის მომზადება. მონაცემების მიღების მიზნით, კვლევა ჩატარდა ელექტრონული ფორმით, ნექსუსზე განთავსებული კითხვარის მეშვეობით. 2019-2020 წლის საგაზაფხულო სემესტრში სასწავლო პროცესი, პანდემიის გამო, ძირითადად, განხორციელდა დისტანციურ (online) რეჟიმში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩატარდა დამატებითი კვლევა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამუშავა მიღებული მონაცემები, რის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო როგორც საბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების 702-მა სტუდენტმა, რაც უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 49,6%-ს შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, რესპოდენტთა სტატისტიკური მონაცემები მოცემულია დანართ 1-ში. სტუდენტებმა შეაფასეს 218 ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობა და სწავლება-სწავლის პროცესი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო როგორც თბილისის (74,5%), ასევე, უნივერსიტეტის ბათუმის (25,5%) წარმომადგენლობის სტუდენტებმა.
დადებითი ტენდენციები (არაუმეტეს 500 ასო-ნიშანი)	დადებითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტები კვლავ პოზიტიურად აფასებენ უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმოებას/მოწვევას, ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერასა და თანადგომას სხვადასხვა საკითხებში, ინდივიდუალურ მიდგომას, სასწავლო მასალაზე მარტივი წვდომას ონლაინ ბიბლიოთეკის დახმარებით, კომფორტულ სასწავლო გარემოს. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, სტუდენტები დადებითად აფასებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დროულ და ეფექტურ რეაგირებას ახალ გამოწვევებზე. მათი აზრით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ელექტრონული სწავლების ფორმატი არ ჩამოუვარდებოდა იმ სწავლებას, როგორიც იყო საუნივერსიტეტო სივრცეში.
ნეგატიური ტენდენციები (კონკრეტული მაგალითების ჩვენებით)	ნეგატიური ტენდენციებიდან კვლავ ყურადსაღებია ნექსუსზე სტუდენტთა შეფასებების დროული ასახვის პრობლემა. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, დეკანატები/ პროფესორები, მიმდინარე სასწავლო წელსაც, ვერ უზრუნველყოფენ მონაცემების დროულად ასახვას ელ. ბაზაში. სტუდენტთა უმეტესობა ითხოვს მეტი პრაქტიკული დავალებებისა და სამუშაოების მიცემას, გამოცდების პროცესის გამკაცრებას, სტიპენდიის ან სხვა რაიმე წამახალისებელი მეთოდის გამოყენებას მაღალქულიანი სტუდენტებისთვის, საგამოცდო ცენტრის/სისტემის შექმნას. ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტების შეფასებით ადგილი აქვს პედაგოგების მხრიდან მეცადინეობის გაცდენის ფაქტებს, კერძოდ, საშემოდგომო სემესტრში. სამართლის და საჯარო მმართველობის პროგრამების სტუდენტები აღნიშნავენ წარმომადგენლობის

	ადმინისტრაციის მხრიდან არასაკმარის ყურადღებას/ინფორმირებას სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით. დისტანციურ სწავლასთან დაკავშირებით, იყო შენიშვნებიც, რაც ძირითადად, გამოიხატებოდა ინტერნეტის გაუმართავ/არასტაბილურ მუშაობაში.
დასკვნა (არაუმეტეს 200 ასო-ნიშანი)	გამოკითხვის შედეგებიდან (დანართი 2) ნათლად ჩანს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციას, საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურას და სასწავლო პროცესს სტუდენტები დადებითად აფასებენ, მაგრამ იკვეთება გარკვეული არადამაკმაყოფილებელი შეფასებები, რომლის გაუმჯობესების რეზერვი უნივერსიტეტს გააჩნია.
რეკომენდაციები	➢ მიზანშეწონილია ჩატარდეს პროფესორ-მასწავლებელთა ტრენინგი ნექსუსზე შეფასებების დადგენილ ვადებში ასახვის მიზნით. ➢ ბიზნესისა და მართვის სკოლის ადმინისტრაციამ დამატებით გამოიკვლიოს და დადგინოს სტატისტიკის ლექტორის მიმართ სტუდენტთა მიერ გამოთქმული შენიშვნები. ➢ სკოლის დეკანატებმა გააღრმავონ პარტნიორ დაწესებულებებთან ურთიერთობა პრაქტიკის განხორციელების მიზნით. ➢ გაღრმავდეს ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან/ სააგენტოებთან უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით. ➢ შემუშავდეს და დაინერგოს მაღალრეიტინგული სტუდენტების წახალისების ფორმები. რაც მოტივაციას გაზრდის და აამაღლებს მონდემებას. ➢ შემუშავდეს და დაინერგოს საგამოცდო ცენტრი/სისტემა პროფესორ/მასწავლებელთა მხრიდან სუბიექტური შეფასების თავიდან აცილების მიზნით. ➢ მოძიებულ იქნას და სასწავლო პროცესში დაინერგოს დისტანციური (online) სწავლების სხვადასხვა წყაროები. ➢ შემუშავდეს დამატებითი ინსტრუქციები დისტანციური სწავლების მეთოდების/ წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დანართი 1


გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა სტატისტიკური მონაცემები აკადემიური სკოლების მიხედვით
54.99%
52.68%
47.77%
40.00%
47.27%
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სამართლის სკოლა
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა
მედიცინის სკოლა

მონაცემების ანალიზი

პ ა რ ა მ ე ტ რ ე ბ ი	საუნივერსიტეტო	თბილისი	ბათუმი
დისციპლინის ლექტორი გამოირჩევა პროფესიონალიზმით, საინტერესოდ და გასაგებად ხსნის სასწავლო მასალას	4.3	4.3	4.3
სტუდენტთან ურთიერთობაში ლექტორი კეთილგანწყობილი და კორექტულია	4.5	4.5	4.5
სტუდენტს აქვს მეცადინეობაზე შეკითხვის დასმისა და დისკუსიაში მონაწილეობის მიღების საკმარისი შესაძლებლობა	4.4	4.4	4.4
პროფესორის შეფასებები, შენიშვნები და კომენტარები არის ფასეული / ობიექტური	4.3	4.4	4.3
შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა / სტუდენტისთვის ცნობილია კონკრეტული ქულის მინიჭების მექანიზმი	4.4	4.4	4.3
შუალედური და დასკვნითი შეფასების შედეგები დადგენილ ვადებში თავსდება ნექსუსზე და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის	4.1	4.1	4.1
ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია დისციპლინის შესაბამისი სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელო, წიგნი, პერიოდიკა, ციფრული მასალა, აუდიო-ვიდეო მასალა)	4.2	4.3	4.0
Nexus-ზე დროულად არის განთავსებული და ხელმისაწვდომია დისციპლინის შესაბამისი სასწავლო მასალა/დავალება	4.2	4.3	4.1
სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია დისციპლინის/სასწავლო კურსის სილაბუსი (შინაარსი, მიზნები, შედეგები, სასწავლო თემატიკა)	4.4	4.5	4.4
პროფესორი დაინტერესებულია სტუდენტის ცოდნის პროგრესით	4.4	4.5	4.4
პროფესორი, მეცადინეობის პროცესში, ხელს უწყობს სტუდენტს იფიქროს და იაზროვნოს დამოუკიდებლად /კრიტიკულად	4.5	4.5	4.4
სასწავლო კურსის მოსმენის შემდეგ მივიღე ახალი ცოდნა	4.4	4.5	4.4
"სასწავლო დატვირთვა (დავალებები რაოდენობისა და სირთულის მიხედვით) შეესაბამება სტუდენტის შესაძლებლობებს"	4.5	4.4	4.5
პროფესორი თითოეული თემის ახსნას / გამოკითხვას საკმარის დროს უთმობს	4.5	4.5	4.4
სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	4.4	4.4	4.3
სულ	**4.4**	**4.4**	**4.3**